№ 176 აგვისტო 17, პარასკევ 1890 აგვისტო 17, პარასკევი № 176

„Иверія“ (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр. 348
Пурцхванидзе.

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ქუთაისში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

ქუთაისი, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(18—1)

ახალი ამბავი

*** ტექნიკურ საზოგადოების წიგნ „Сельско-Хозяйственное Образованіе“-ში (გამოცემა 1890 წლისა) დაბეჭდილია ვრცელი ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია კავკასიის სამოსწავლო ოლქის სახალხო სკოლებთან გაშენებული ბაღები, ვენახები და სხვ. ავტორი საკმაოდ ვრცლად განიხილავს ყუბანისა და თერგის ოლქისა და საქართველოს პირველ-დაწყებითს სკოლების მამულებსა და შემდეგი ცნობებიცა აქვს მოყვანილი: რომელ მაზრასა და გუბერნიაში იმყოფება სკოლა და მისი მამული, ვინ არის მასწავლებელი და სად უსწავლია მებაღე-მევენახეობა და აგრეთვე მებოსტნეობა, რა სივრცისაა სკოლის მამული, რა წესითა და ვისის დახმარებით შეიმუშავებენ ხოლმე სკოლის მამულებს და სხ. სანიმუშოდ მოგვყავს მოკლე ცნობა ზოგიერთ სკოლის შესახებ. ყვირილის სასწავლებელი. მასწავლებელია ო. იოსელიანი, რომელსაც მეურნეობა შეუსწავლია ტფილისის სამასწავლებლო სკოლაში. სკოლას სამამულე ადგილი აქვს 642 ჩორსო საჟენი. ამ სივრცე ალაგიდგან ბაღს უჭირავს 154 ჩორსო საჟ., ბოსტანს—209 ჩორსო საჟ. ხილნარს 36 და სხ. ბაღს უვლიან უფროსის კლასის მოწაფენი. გუხის სკოლა. მასწავლებელია ნ. წერეთელი, რომელსაც ფუტკარი გაუჩენია, სულ 35 სკა. ფუტკარს დიდის ხალისით უვლიან მოწაფენი. საცხენისის სასწავლებელი (თელავის მაზრაში): ამ სასწავლებელში რამდენიმე კლასია. პანსიონში იმყოფება 110 მოსწავლე, რომელნიც სამ დასად არიან განაწილებულნი. რასაც თეორიულად ასწავლიან კლასში, იმას მოსწავლენი პრაქტიკულადაცა სცდიან თვით სკოლის ბაღვენახში. ყოველ დღე მუშაობენ ოროლ საათს დილითა და საღამოთი. სკოლის სამამულე ადგილი 26 დესიატინაა და 1760 საჟ. და იმას გარდა 15 დესიატინა სათიბი ალაგიცა აქვს. 1884 წ. გამართული აქვთ 7 დესიატ. სივრცეზედ ბოსტანი, ხილნარი 2 დესიატ., ბაღჩა (საფურცლე) 364 საჟ. და ვენახი 5 დესიატ. ამ სკოლას სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელადა ჰყავს მებაღე-მასწავლებელი არჩილ დარეჯანაშვილი, რომელიც ნიკიტის სამეურნეო სასწავლებელშია ნასწავლი. იქვე ჩამოთვლილია, თუ რასა და რას აკეთებენ და სწავლობენ შეგირდები გაზაფხულობით, ზაფხულობით და შემოდგომასა და ზამთარს.

*** სოფ. თეკლათი (სენაკის მაზრა): ფრიად სამწუხარო უბედურობა დაემართა 12 ამ თთვისას სოფ. თეკლათს. დილის 6 საათი იქნებოდა, როდესაც დიდის წვიმების გამო მდინარე ცივი გადმოვიდა ნაპირებიდგან და, რადგანაც წყალმა დაბლა წასასვლელი ადგილი ვერ იპოვა (ამ ადგილას დაბლა რკინის გზის ლიანდაგია გაყვანილი განგებ ამაღლებულს ადგილზე), მიაწყდა სოფელს და რაცკი წინ შეხვდა, მოიტაცა და წაიღო. მხოლოდ ადამიანი არავინ უმსხვერპლია, რადგანაც ადრევე უშველეს თავს და გაიქცნენ მაღლობზე; ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, ისინი სახლების ბანებზე აცვივდნენ. სახლის ბანებამდე თითქმის წყალიც უწევდა. საწყალს მცხოვრებლებს არ შერჩენიათ არაფერი, ისე წალეკა წყალმა ყოველივე. შინაური ფრინველები, ავეჯი და სხ. ისე მიჰქონდა წყალს, როგორც ჩალაბული. მოხუცებულები ამბობენ, რომ ამისთანა წყალ დიდობას ჯერ არ მოვსწრებივართო. ზარალი ორი ათას მანეთამდე იქნება.

*** ახალ-სენაკი: ახალ-სენაკს და იმის ახლო-მახლო სოფლებს ამ განუწყვეტელმა აღმოსავლეთის ქარმა სწორედ ძლიერ ავნო. სიმინდები ძირიანად ამოაგდო და ძალზედ დაამტვრია და ყურძენის გაფუჭებამ ხომ მთლად მოგვწყვიტა წელი, რადგანაც შარშანდელზე ნაკლები იყო და ისიც ამ შეუბრალებელმა ქარმა მთლად ძირს ჩამოჰყარა. ამას გარდა სოფელში თუმცა ზოგან სახადი დადის, მაგრამ ადვილად იხდიან...

*** ქვემო-ქიზიყი: თითქმის ორი თთვე სრულდება, ქიზიყში წვიმა აღარა ყოფილა და ამის გამო ვაზი სულ ერთიანად ამოიხრუკა. თიბათვის დამლევს მოვიდა აქ უკანასკნელი წვიმა, სეტყვაც მოჰყვა და დააზარალა რამდენისამე სოფლის ვენახი. რაც სეტყვას გადურჩა, ის სიცხემ დასწვა, ასე რომ წინანდელი შემოსავლის ნახევარიც აღარ მოგვივა წელს. პურისა და სხვა ჰირნახულის მოსავალი მშვენიერია, პურის ათეულს ზოგ ადგილას კოდი გამოდის. ქურდობა და სხვა ბოროტ-მოქმედება ამ ბოლოს დროს გახშირდა. ყოვლად-უსამღვდელოეს ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონის მობრძანებამ აქაც დიდად იმოქმედა ხალხზე და იმისმა მოძღვრება-დარიგებამ სამშობლო ენის შესახებ უნაყოფოდ არ ჩაიარა. ამ ხალხთან საუბარს შედეგად ის მოჰყვა, რომ სადაც-კი აქამდე ეკლესიები კვირა-უქმე დღეობით თითქმის მთლად ცალიერები იყო, ეხლა იქ ხალხი საკმაოდ დაიარება.

*** ბათუმი: როგორც „ივერიაშიაც“ იყო მოხსენებული, ამას წინად ჩვენმა სცენის-მოყვარეებმა ქართული წარმოდგენა გაჰმართეს წინამძღვრიანთ-კარის სასწავლებლის სასარგებლოთ, საზოგადოებაც დაესწრო და დიდად ისიამოვნა კიდეც. ამისთანა წარმოდგენების გამართვა საქველმოქმედო აზრით ყოველთვის შეუძლიანთ ჩვენის სცენის მოყვარეებს და მსმენელ-მაყურებელიც არ დააკლდებათ, ერთი გარემოება რომ არ უშლიდეთ ხელს: ქალის როლის ასრულებელთა უყოლობა. ორიოდე ქალია ჩვენში, რომელნიც ავად თუ კარგად შეიძლებენ სცენაზედ გამოსვლას, მაგრამ ისინიც დიდად უარობენ და არ უნდათ ხელი გაუმართონ სამადლო საქმეს. ხშირად ისიც მოხდება ხოლმე, რომ, ხანგრძლივ ხვეწნა-მუდარას შემდეგს ჯერ-კი დათანხმდებიან ხოლმე და მერე, როცა საქმე საქმეზეა მისული, უარს ამბობენ და თავის პირობას პირ-ნათლად არ ასრულებენ. ეს უპირობა-კი რომ არა ყოფილიყო და რამდენიმე წარმოდგენა გაემართათ, ბევრს სასარგებლო საქმეს გააკეთებდნენ. ადვილად შეეძლებოდათ, სხვათა შორის, ქართული წიგნთ-საკითხავის დაარსება, რაც ფრიად და ფრიად საჭიროა წიგნებ-მოკლებულ ბათუმელთათვის, ღარიბთა სასწავლებლებს დაეხმარებოდნენ, არამქონე და ხელ-მოკლე სტუდენტებს შეუმსუბუქებდნენ გაჭირების ატანას და სხვ. და სხ. მაგრამ ერთობა რაში ვიცით, რომ ამ მცირე, თუმცა-კი სასარგებლო, საქმეში გამოვიჩინოთ!..

*** ამ დღეებში მთავარ-მართებლის საბჭომ გაარჩია კოჯორში თავ. აფხაზის საქმე, რომელსაც ყალბი ქაღალდების შედგენა ჰბრალდება იმ აზრით, რომ გაეფლანგა ხალხისთვის დასარიგებელ პურის სასყიდლად მიბარებული ფული და აგრეთვე ის გლეხების ფულიც, რომელიც ხაზინაში შესატანად იყო მოკრებილი, და გადასწყვიტა, რომ სამართალში მიეცეთ თავ. აფხაზი, ბრალმდებლის აზრის თანახმადაო („Нов. Обоз.“).

*** ამ თვის 14, პოლიციის პირველს ნაწილში, ოსმალეთის ქვეშევრდომმა მურად ტერ-ასატუროვმა და სარქის საკოვმა განაცხადეს, რომ ტფილისის მცხოვრებელმა ლამბაროვმა ხაზინის მეიჯარადრის სახელი დაირქვა, შეგვიკრა ნოტარიუს ტურკოვსკისთან პირობა, რომ სხვის მიწაზედ მიწა ამოგვეთხარა რკინის-გზის სადგურს ახლო ვითომდა საყინულესათვის, ხუთი თუმანი გამოგვართვა ზედ და მიიჩქმალაო. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ლამბაროვი მეიჯარადრე სულაც არა ყოფილა და არც საყინულე სდომნია რაიმე და მხოლოდ ხუთი თუმანი დაუტყუებია. ლამბაროვი დაპატიმრებულია და ამ საქმის ოქმი შემდგარია.

ფელეტონი

მოგონება*)

VI

მეორე დილას ჩვენს შინა-ვენახში შებურულ ვაზებს ვფურჩნიდი, რომ ყურძენს მზის თვალი დაენახა და ფარსაგად მომწიფებულიყო. ვმუშაობდი მარტოკა და თან პოეტის სიტყვებს ვღიღინებდი: „მე გოგია მისთვის მიყვარს, რომ ძმაა და მეგობარი, და მისთვის მსურს მისი ხილვა, მასთან ხშირად საუბარი.“ ვღიღინებდი, მაგრამ ერთსა და იმავე დროს ხან ვანიკო მელანდებოდა და იმისაგან ნათქვამი სიტყვები მიბჟუოდა ყურებში, ხან ჩვენი ნაზი და მშვენიერი მეზობელი—ქალწული ზეზია მეხატებოდა გონებაში და რაღაცა გამოუთქმელი სიამოვნება მათრთოლებდა ჭანდარივით.

მე ისევ რუსეთში ვიყავ, როცა ზეზიამ გიმნაზია გაათავა ოქროს მენდლით და პეტერბურგში აპირებდა მოსვლას კურსებზე, მაგრამ „დედა არ მიშვებსო“, მწერდა გულ-ნაღვლიანად. როდესაც რუსეთიდგან მოვედი და დაახლოვებით გავიცან ზეზია, სწორედ გამაოცა იმისმა გონიერულმა ცხოვრებამ. ის, როგორც დღე ღამისაგან, ისე ირჩეოდა იმ ქარაფშუტა ქალებისაგან, რომლებიც სასწავლებლის გათავების შემდეგ მარტო კეკიეით კოპწიაობასა, დოვლათიან საქმროს ძებნასა და ქვეყნის ჭორიკანაობაში ატარებენ თავიანთ უსარგებლო სიცოცხლე'. სამ-ოთხიოდე წელიწადში სათვალჩინოდ შეესწავლა ზეზიას სამშობლოს ისტორია და ლიტერატურა; კარგად იცნობდა აგრეთვე ყველა მსოფლიო გენიოსს და საუცხოვო ბიბლიოთეკა ჰქონდა ქართულ-რუსულის წიგნებისა. დედა შეძლებული ჰყავდა და არასოდეს არ უჭერდა ფულს წიგნებისთვის. „ჩემის სულისა და გულის უპირველესი მოთხოვნილება წიგნებიაო“, მწერდა სხვათა შორის ზეზია, როცა იმისაგან ოცდა-ათი თუმანი ერთად მომივიდა რუსეთში და მთხოვდა: ამ ფულით ესა-და-ეს წიგნები მიყიდეთ და ისინიც, რომლების ყიდვასაც მირჩევდით თქვენს უკანასკნელს წერილშიო.

მშვენიერად ჰქონდა ზეზიას შესწავლული ძველი და ახალი კლასიკები და იმათი სახელოვანი კრიტიკოსები. ზეზია ზიზღით უყურებდა ქარაფშუტა უფერულს რომანებს და უსიცოცხლო-ფუქსავატს მწერლობას. იგი შარბათივით ეწაფებოდა იმ ღვთაებრივს პოეზიას და მეცნიერულს ბეჭდვითს სიტყვას, რაც-კი კაცთა სულისა და ცხოვრების ცოდნა-გაუმჯობესობას შეეხებოდა. რიგიან განვითარებასთან თავისი წილი ნიჭიც ებადა ზეზიას. თვითეულ ცხოვრების საგანზე თავისებური სჯა და შეხედულობა ჰქონდა. არასოდეს არ ემონებოდა ყურ-მოჭრილ ყმასავით სხვის აზრს, ათასი დიდი გეონიოსის ნათქვამიც რომ ყოფილიყო, თუ-კი ჭკუაში არ მოსდიოდა. ხანდახან, როცა-კი ლაპარაკს ჩამოვაგდებდით რამეზე, ისე გონივრულად აფილოსოფოსებდა ხოლმე თავის ნაზად მოუბარ ენასა და ისე ბრძნულად სჯიდა ქვეყნის საქმეს, რომ ვოცდებოდი ჭკუის დავთრები მეკარგებოდა და ვეღარ ვახერხებდი შესაფერს პასუხს. ზეზო ლექსებსაცა სწერდა თავისთვის და ერთხელ სიცილს ვეღარ ვიმაგრებდი, როცა იმის მრავალფერის სიტყვებით მოქარგულს რვეულში შემდეგი ამოვიკითხე:

„ჩემი მუზა ლატაკი დავწვი, დავანელე,
მერე დავჯეგ, დავწურე: ჩავამარხსანელე;
ტკბილის ქართულის ენით გული ავიღელე,
მტერს თვალი დავუყენე, ბედიც დავუბნელე!“

„ზეზიკო, ვუთხარ ერთხელ: თქვენ ისე ზედმიწევნით იცნობთ ჩვენს ხალხს, ისე მშვენიერად იცით მაღალ-კილოიანი ღვიძლი ენა და ისე გარმონიულად გაქვთ გული და გონება ერთმანეთთან შეწყობილ-განვითარებული, რომ საგულისხმიერო რამ ორიგინალურის დაწერა შეგიძლიანთ მეთქი“. ჯერ ხმა არ გამცა ზეზიამ, ოდნავ წარბშეკრული შეფიქრიანდა და ბოლოს: „არაო, მითხრა გადაჭრით: მე, გარდა თარგმანისა, წერა არ შემიძლიან. დავწერ, მაგრამ რა გამოვა, თქვენის თქმისა არ იყოს: მე ისევ სიტყვა-სიტყვით მახსოვს თქვენი ნათქვამი, სადაც თქვენ ამბობთ ერთ ადგილას თქვენს ხელნაწერს კრიტიკულს წერილებში: „ჩვენი დღევანდელი მწერლობა ზევ-ზევით მოგდებული ქაფია ცხოვრების ზღვისა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ცალიერი ყბედობაა ქარაფშუტა ენისაო, დიდის ნიჭისა და მოსაზრების პატრონი უნდა იყოს მწერალი, დიდი ფსიხოლოგიური, ანთროპოლოგიური, სოციალური და ლიტერატუ-

---

*) იხ. „ივერია“ № 166, 167, 168, 169, 170, 172 174 და 175.

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ ამავე დღეს შუადღისას, სასტუმრო „ევროპის“ პატრონმა აზნაურმა მიხეილ ხუნდაძემ გამოაცხადა, რომ მოსკოვის აზნაური ვლადიმერ გორობიევი სიმთვრალის დროს ლამის ორს საათზე თავის გაუფრთხილებლობით სახლის მეორე სართულის აივნიდგან გადმოვარდა და მარჯვენა ფეხი დაიშავაო. გორობიევი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

⁂ ამავ დღესვე, პოლიციის მეექვსე ნაწილში, ვარანცოვის ქუჩაზე, ყავახანაში სპარსეთის ქვეშევრდომი სეით-ასან-სეით ფატალი-ოღლი წაეჩხუბა სპარსეთისავე ქვეშევრდომს ჰუსეინ-ასან-ოღლის და მარცხენა გვერდში დანით დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს და დამნაშავე შეიპყრეს.

⁂ 14 აგვისტოს, პოლიციის მეცხრე ნაწილში, ეკატერინესლავის მაზრის სოფ. ლეგიჩანსკის მცხოვრებელს გლეხს ხარლამპი თევდორეს ძეს პოლეტაევს ავჭალის ქუჩაზე ცხენის რკინის-გზის ვაგონში ტფილისის მცხოვრებელმა გიორგი დიმიტრის ძემ ხუდადოვმა უბიდგან 12 მან. ღირებული ვერცხლის საათი ამოაცალა და დაიმალა, მაგრამ მალე მოასწრო პოლიციის მოხელემ ლოგვინოვმა და შეიპყრო.

⁂ ამავე დღესა და ამავე პოლიციის ნაწილში, უსახელო ქუჩაზე, მეეტლეს სათადარიგო ჯარის-კაცს ავგუსტ ქრისტიანეს ძეს კომანტს იმისმავე მეეტლემ სათადარიგო ჯარის-კაცმა პეტრე პროკოფის ძემ მანიუკმა 30 მან. ღირებული ცხენი მოჰპარა, მერვე ნაწილის საბოქაულოში გაჰყიდა და დაიმალა.

⁂ 14 აგვისტოს, პოლიციის პირველს ნაწილში, ოლგას ქუჩაზე, ტფილისის მცხოვრებელმა თევდორე კარჩაგინმა ეჭვი აიღო თავის ცოლზე, რევოლვერი ესროლა ვითომ-და იმის სატრფოს, ტფილისის მცხოვრებელს გრიგოლ პაშიკოს და მარცხენა მხარში დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს და კარჩაგინი-კი შეიპყრეს.

⁂ ამ თვის 15, პოლიციის მერვე ნაწილში, დალაქი იაგორ მჭედლაძე ბაყალს ტიგრან ვარდოევს წაეჩხუბა, ხუთ გირვანქიანი ესროლა შუბლში და თავი გაუტეხა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

⁂ ამავე დღეს, პოლიციის მეხუთე ნაწილში, პუშკინის ქუჩაზედ, ტფილისის მცხოვრებელმა მეხილემ ჰუსეინ-ალი-ჯაფარ-ოღლიმ ტფილისის მცხოვრებელს ალექსანდრე ამილახვარს წაეჩხუბა და მარცხენა გვერდში დანით დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს და დამნაშავე შეიპყრეს.

⁂ ამავე დღესვე ანჩხატის ეკკლესიაში ტფილისის მცხოვრებლის პანკევიჩის მეუღლეს ეკატერინეს ფულის ქისა და ოთხი მანეთი ამოაცალა ჯიბიდგან ტფილისისავე მცხოვრებელმა ალექსანდრე საცირომა. ქურდი შეიპყრეს და ნაპარევი უკანვე გამოართვეს.

⁂ 15 ამ თვისას, პოლიციის პირველს ნაწილში, ტიტულიარნი სოვეტნიკმა პეტრე ნავროცკიმ გამოაცხადა, რომ ათაბეგოვის სახლში წუხელ ძილის დროს ღია ფანჯრიდგან მოჰპარეს 80 მან. სხვა-და-სხვა ნივთეულობა და ფულად 300 მან. ფული კომოდში ჰქონდა ჩაკეტილი და გასაღებიც შიგვე იყოვო. ეჭვი თავისსავე მოსამსახურე ბორჩალოს მაზრის სოფ. ხაჩინჩეხის მცხოვრებელს არუთინ ტერ-სტეფანოვზე გამოაცხადა. ეჭვმიტანილი შეიპყრეს.

◆

ბიბლიოგრაფია

Положеніе о размежеваніи Закавказскаго края, дополненное позднѣйшими узаконеніями по размежеванію края и поясненное извлѣченіями изъ рѣшеній Правительствующаго Сената, судебныхъ уставовъ и гражданскихъ и межевыхъ законовъ и выводами изъ судебно-межевой практики. Составилъ К. В. Долговъ, межевой членъ Тифлисскаго окружнаго суда. Тифлисъ 1890 года.

მას შემდეგ, რაც შესდგა წესდება კავკასიის გამიჯვნისა და დაიწყო გამიჯვნა მამულებისა კავკასიაში, ბევრი ცვლილება მოხდა ამ წესდებისა. ამ წესდების ძალით წინად დაწესებული იყო გამმიჯვნელი პალატა (межевая палата) და მმიჯნავი კომისიები. (межевыя комиссіи). მმიჯნავი კომისიები თითონვე ჰმიჯნავდნენ მამულებს და თითონვე, ამავე გამიჯვნის დროს, ალაგობრივ არჩევდნენ საქმეს. გამმიჯვნათა პალატა უფროსი იყო კომისიებზედ და იქ შეჰქონდათ იმათს უწესოებაზედ საჩივარი. პალატის გადაწყვეტილება იყო უკანასკნელი, ამას იქით საჩივარს გზა აღარა ჰქონდა. ამ გვარად გამიჯვნის წესდებას ერთი დიდი ღირსება ჰქონდა, სხვა ღირსებათა შორის: საქმეებს მალე, თითქმის სწრაფად ათავებდა. ამას გარდა ამავ წესდების ღირსებად ისიც ჩაითვლებოდა, რომ, მე-64 და 122 მუხლის ძალით, რა-კი ერთი უდაოდ დაგემიჯნებოდათ მამული, მასუკან აღარავის ამ მამულისა არც დავა შეეძლო და არც წართმევა ვითომ-და იმ მიზეზით, რომ მეტად დიდი ხანია ეგ მამული ჩემს ხელშიაო. (ДАВНОСТЬ).

მაგრამ შემოვიდა რუსეთში წესდება ახალის სასამართლოებისა და გაიცა ბრძანება, რომ ეს წესდება ჩვენშიაც შემოეღოთ. მიანდეს ამ ცვლებისათვის პროექტის შედგენა იმავე სტარიცკის, რომელმაც კავკასიის გამიჯვნის წესდება შეადგინა. ყველა ელოდა, რომ ის, ვინც ასეთი მშვენიერი წესდება შეადგინა წინადა, ახლა, როდესაც დროცა და გარემოებაც ხელს უწყობს, უფრო სრულს, დროსა და გარემოების შესაფერს წესდებასა და პროექტს შეადგენსო.

მაგრამ ბატონმა სტარიცკიმ თავის პროექტი არამც თუ არა გაუმჯობესა-რა და არა შეჰმატა-რა 1864 წლის ახალ სასამართლოთა წესდებას არამედ ამ წესდებას გამოაკლო უკეთესი ადგილები, უარ-ჰყო ნაფიც მსაჯულთა სამართალი და მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნით დანიშვნა, და ასე დამახინჯებული სასამართლოთა წესდება შემოაღებინა ჩვენს მხარეში. ეს კიდევ არაფერი, თავისისავე ხელით მოუღო ბოლო თავის მიერ შემოღებულს მშვენიერს წესებს კავკასიის გამიჯვნისას, გააუქმა გამმიჯვნელი პალატა, მმიჯნავი კომმისიები და მათი უფლება გადასცა ახალს სასამართლო პალატასა და ოლქის სასამართლოებს. გამიჯვნის პალატის უფლება მიენიჭა სამოსამართლო პალატას, მმიჯვნელ კომისიებისა—ოლქის სასამართლოებს.

ამ გვარმა ცვლილებას ის მოჰყვა, რომ თითქმის სრულიად დაჰკარგა გამიჯვნის საქმემ თავისი ღირსება და უმთავრესი დანიშნულება: სწრაფად საქმის გათავება და საუკუნოდ უდავოდ მამულების დამკვიდრება.

რაკი გაუქმდა წინანდელი გამმიჯვნელი დაწესებულებანი და იმათი უფლება გადაეცა საერთო სასამართლო დაწესებულებათა, საქმე ერთიან აირდაირია და დაიხლართა: ეხლა მიწებსა ჰმიჯნავენ ჯერ ესრედ-წოდებულნი მიჯნის დამდები მიწის მზომელნი. დავა და საჩივარი ჯერ ამათთან შედის. ესენი ოქმსა, ჟურნალსა, გეგმასა და სხვ. შეადგენენ ხოლმე და, როდესაც ამ გვარად გაიმართება საქმე, ჰგზავნიან მერე ოლქის სასამართლოში გასარჩევად. ამ გვარად მთელის წლობით მიწის-მზომელთა ხელში ტრიალებს გამიჯვნის დავა და საჩივარი. როდესაც სასამართლოს მიუვა საქმე, ახლა სასამართლო დაუწყებს ჩხრეკასა და ძიებას, არაფერი ნაკლი ხომ არა აქვს რა საქმესაო. რადგან ნაკლი ყველგან გამოიძებნება, ამის გამო თითქმის ყველა საქმე მიჯნის გამყვან მიწის მზომელთავე უბრუნდებით შესავსებლად და გასასწორებლად. ახლა ხელ-მეორედ კიდევ მთელის წლობით უჭირავთ ხელში ეს დავა-საჩივარი მიწის-მზომელთ და შემდეგ ძლივ-ძლიეობით ჰგზავნიან უკანვე გასარჩევად. ახლა სასამართლო სდებს გარჩევას ვადას და ჰსინჯვას, ალაგობრივ-კი არა, როგორც წინად იყო, არამედ იმ ქალაქებში, სადაც რეზიდენცია აქვს და ან დროებით მოხვდება, „იბარებს საიდგან სად მოდავეებს და მოწმებს. მოდიან იმ სიშორიდგან დაბარებულნიც. ბოლოს გამოდის, რომ ყველას არ ჩაჰბარებია უწყება. საქმეს გადასდებენ ხოლმე და რჩება კიდევ მთელის წლობით ნაყიშად. ინიშნება ძლივს კიდევ ვადა, ჩაჰბარდება ყველას უწყება. ამ დროს წარმოდგება ერთ-ერთი მოდავე და აცხადებს, რომ ესა-და-ეს მოდავე მოკვდა და საქმე შეაყენეთო. ჩერდება საქმე და კვალად გადაიდება მზრუნველის დანიშვნასა და ახალთხოვნამდის, რომ საქმე გაირჩეს. ამ გვარად, წლები-კი არა, ზოგჯერ ათი წელიწადიც გადის, რომ ეს დავა ჯერ ისევ ოლქის სასამართლოშია. ბოლოს ძლივს ეღირსება პალატას. ახლა პალატაში უნდა გახიახლდეს ასევე საქმე. პალატას სენატი მოსდევს. სენატიც ხშირად იწუნებს და აუქმებს პალატის გადაწყვეტილებას და უბრუნებს უკან საქმეს ხელ-მეორედ გასარჩევად. ამ სახით, იმ ძველ მარტივ წესდების მაგიერ, გამახიახებელი წესები შემოვიდა. ეს ერთი ნაკლი ძველის წესდების უარყოფის წყალობით არის შეძენილი.

მეორე. თუმცა 1867 წელს უმაღლესის ბრძანებით ტფილისის სამოსამართლო პალატას გადაეცა ყველა ის უფლება, რომელიც მინიჭებული ჰქონდა გამმიჯვნელ პალატას, და გამმიჯვნელი პალატა გასამმიჯნავ წესდების 3 მუხლის ძალით საბოლოოდ სწყვეტდა საქმეს და იმას იქით საჩივარის გადატანა აღარსად შეიძლებოდა, მაგრამ სენატმა ბოლოს განმარტა, რომ გამიჯვნის საქმეების გადაწყვეტის გამო პალატიდგან ისევე შეიძლება სენატში საჩივრის გადატანა, როგორც სხვა საქმის გამოო. ამ გვარად, ხსენებულის მე-3 მუხლის ძალა გაუქმდა, კანონ-მდებლობით-კი არა, სენატის განაჩენის ძალით. რაკი საქმეები სენატის ხელში ჩავარდა, სენატმა გამიჯვნათა წესდების მე-64 და 122 მუხლიც გააუქმა და გამოაცხადა, რომ თუნდა გამიჯვნის დროს უდაოდ დაესაკუთრებინოს მამულები, მაინც შეუძლიანთ საზოგადო სასამართლოს წესით წაგედაონ და წაგართვან კიდეცაო. ამასთან შეუძლიანთ დიდის ხნით დაჭერილი და გამიჯნული მამულები წაგართვან მოცილეთა და მოდავეთაო. (სენატ. განაჩ. 1875 წ. № 1289, 1883 წ. № 4 და სხვ.).

ამ გვარად შეირყა უმთავრესი ღირსება გამიჯვნის წესდებისა: დავა რჩება დაუსრულებელი, დავიდგან ვერც გამიჯვნა გიხსნის და შეიძლება დიდის ხნით თქვენს ხელში მყოფი გამიჯნული მამულებიც წაგართვან. ერთის სიტყვით, გამიჯვნა და იმაზედ გაწეული ხარჯი სრულიად უსაფუძვლო და უმნიშვნელო ხდება როგორც სახელმწიფოსა, აგრეთვე მეპატრონეთათვის.

რაც ეს ცვლილებანი შემოვიდა და ძველ გამმიჯვნელ სასამართლოებიდგან ახალში გადავიდა მიჯნის დადების საქმენი, აღარ გამოსულა წესდება ახალის ცვლილებებით, შევსებული და განმარტებული. ამ კანონების ცოდნა რომ სდომებოდა ვისმე, ათასს უწყებასა, განაჩენსა, წესდებასა და ცირკულიარში უნდა ეძებნა, ბ-ნ დოლგოვს სწორედ ამ მხრივ მოუწადინებია საზოგადოების დამხმარება. როგორც ამ საქმის კარგად მცოდნეს, სინიდისიერად შეუკრებია ერთად ყოველივე გამიჯვნის დადების წესდების შესახები ცვლილება, დებულება და კანონი თავის წიგნში და ისე გამოუცია. იმისი წიგნი იმდენად სრულია და სავსე ყოველისავე მასალითა და ცნობით, რომ ამ წიგნის შემძენს აღარ დასჭირ-აქეთ-იქით ძებნა და ადვილად მოიპოვებს საჭირო ცნობას. თუ რომელსამე მუხლს მიჯნის დამდებ წესდებისას რაიმე კავშირი აქვს სხვა კანონებთან, ან ეს მუხლი განმარტებულია როგორმე სენატისა, სახელმწიფო რჩევისა და სხვ. რომელისამე დაწესებულების მიერ, ბ-ნს დოლგოვს ყოველივე იქვე დაწერილებითა აქვს აღნუსხული და აღნიშნული. იქვეა ამოწერილი ამ საგნისავე შესახებ სხვა-და-სხვა აზრი გამოჩენილ იურისტებისა, აზრი და შეხედულობავე ხალხისა და სხვ. ვახტანგ მეფის კანონებიდგანაც-კი ამოუკრებია, სადაც გამიჯვნის საქმეა ასე თუ ისე განმარტებული. ერთის სიტყვით, თამამად შეგვიძლიან ესთქვათ, რომ ჯერ არც ერთი კერძო გამოცემა კანონებისა არ გამოსულა რუსულად ასეთი სრული და სავსე, როგორიც

რული ცოდნა უნდა ჰქონდეს შეძენილი, დიდის გრძნობის სიბრძნისმეტყველი ალღო, დიდი გამოცდილება, ღრმად თავის ერის ცნობა, ესტეტიკური განვითარება და სულის ძლიერება უნდა ახლდეს იარაღად, და შორს, კაცთა გულის სიღრმეში, მზესავით გამსჭვრეტელი გონების გამჭრიახე თვალი და მეცნიერულად განვითარებული კრიტიკული მსჯელობა უნდა შესწევდეს, რომ ქვეყნის ჭირისა და ლხინის ავ-კარგსა და მიზეზს ნათლად ჰხედავდეს მარად-მღელვარე ცხოვრების შავს მორევში, როდესაც-კი ის კალამს იღებს ხელტი რომელისამე აზრის განსახორციელებლადაო. თორემ რა გამოვა იქიდამ, ერთი მითხარით, დიდების წყურვილით გატაცებულმა მასხარა მაიმუნმაც რომ ყველასაგან დაბრიყვებულს კალამს ხელი წამოავლოს და წერას მოჰყვეს?—ის, რომ „მუმლო, ფასკუნჯის ადგილი საფრენად რისთვის გწადიან“—ეტყვიანო“. და მაშ რაღად გინდათ, რომ მეც გავმაიმუნდეო“, და სიცოცხლიანად გადიკასკასა ზეზიამ ამ სიტყვებზე.

მე დროიანად ველარა ვუპასუხე-რა, რადგანაც ჩემის სიტყვებით მევე პირში ჩალა გამომაველო, და ბოლოს თითონვე დაიწყო ზეზიამ: „თქვენ კარგა იცით ჩემის წერილებიდგან, რომ მე, ეს სამი-ოთხი წელიწადია, როცა-კი თავისუფალი დრო მომეპოება, რუსულიდგან ქართულად გადმოთარგმნაში ვვარჯიშობ, მაგრამ დღესაც-კი არ შემიძლიან მზად შექმნილის რიგიანის ენით გადმოქართულება და, აბა, მე ორიგინალურის თავი ვინ მომცა. მწერლობა მხოლოდ იმას შეჰფერის, ვისი ყოველის მხრით განვითარებული გული და გონება ულეველი ზღვა არის ქვეყნის ჭირისა და ლხინისა და ენა—მათი ძლიერად და ჰარმონიულად გამომხატველი, უამათოდ-კი მწერალი ჩირადაც არა ღირს და არა ეღირებაო“. „ჰო, კარგით, კარგით! მაგრეც ნუ იმცირებთ თავს მეტის თავაზიანობით. მე კარგად ვიცი, მაგით რის თქმაც გინდათ: ვითომ ენაც საუცხოვოდ იცით, წერაც ჩინებულად შეგიძლიანთ, მაგრამ თქვენ ისეთი ზრდილობიანი ქალი ხართ, რომ სხვასავით ტრაბახი გეჯავრებათ. თქვენ მე ვერ მომატყუებთ-მეთქი“. ზეზიას შავ-თვალებიანი და თეთრად მინაზებული ლოყები ვარდის ფერ ატლასივით აულაპლაპდა ამ სიტყვებზე და დარცხვენით მითხრა: „ცილს ნუ მწამებთო“.

მართლაც რომ ცილსა ვწამებდი. ბევრჯელ წაუკითხავს ჩემთვის ზეზიას თავის მშვენიერის ენით ნათარგმნი საუცხოვო შინაარსიანი პატარ-პატარა მოთხრობები და ბევრჯელ მიხვეწნია: გაუგზავნეთ გაზეთს „ივერიას“ მეთქი, მაგრამ ვერაფ გზით ვერ დამიყოლიებია, „რა მეჩქარება, აჩქარებით საქმე წამხდარა და მოთმინებით-კი ბევრი რამ კარგი გაკეთებულა ქვეყანაზეო. ჯერ კიდევ კარგად შევისწავლი და შევისულ-ხორცებ დედაენას—და მაშინო. „ნაქმულა სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“, თვით ჩვენი ღვთაებრივი შოთა ამბობდა ამას მეთორმეტე საუკუნეშიო“.

ყველა ამ მოსაწონ თვისებასთან ზეზიას ბევრი სხვა კაი თვისებაც მოეპოება. ღმერთო! რას არა სჩადის იმისი მადლიანი ხელი და გამჭრიახე გონება: ყველას კადრულობს და აკეთებს თავის ოჯახისთვის, ღარიბების ქალ-ვაჟებს უსასყიდლოდ ასწავლის წერა-კითხვას, სალიტერატურო საღამოებსა და პატარ-პატარა წარმოდგენებს ჰმართავს საქველ-მოქმედოდ, სადაც-კი ავადმყოფი გაჩნდება სოფელში, გულ-შემატკივარი ზეზია იქ იბადება და ათსნაირ დარიგებას აძლევს უცოდინარებს, რის გამოც «ჩვენი მფარველი» დაურქმევიათ სოფლელებს; სამშობლო ქვეყნის მოძრაობას, პროგრესს და ლიტერატურას გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს და კიდევ იმდენს დროს ჰპოულობს, რომ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსასვლელადაც ამზადებს გულ-დადებით თავის მტრედივით უმანკო გონებას.

„ბედნიერი ქალია ზეზია“, ვფიქრობდი, როცა ჩვენის შინა-ვენახის შვინდის ძირას ანკარა-მოჩხრიალე წყაროსთან ჩამოვჯექ დასასვენებლად სიცხისაგან ატკრეცილი: „ღმერთს იმისათვის მიუნიჭებია ყოველივე კეთილი: მადლიანი და მაღალაზროვანი გონება, ანგელოზივით უმანკო გული, აზრის ძლიერად გამომხატველი ენა, მთის თეთრ ვარდივით მინაზებული სახე, შავ-მაყვალივით ქუქუნა თვალები, წერწეტის ტანის სრულ-ქმნილი სიკეკლუცე და კაცის გულის მომხიბლავი ნაზი, ქალწულებრივი ხასიათი და ზრდილობიანი და თავაზიანი ყოფა-ქცევაც“,—ასე ვამბობდი ჩემს გუნებაში, გულში ყოვლის სიკეთით აღვსილი ზეზიას ძლიერი სიყვარული მეპარებოდა ნელანელა და საითღაც მიაფრენდა ნეტარებით დამთვრალს გონებას. მაგრამ ისევ საჩქაროდ ეკვეცებოდა ფრთები ჩემს ტკბილს აღტაცებას, როცა ელვასავით გამირბენდა ხოლმე თავში: „იქნება სხვა უყვარს?“ ერთსა და იმავე დროს ვსტკბებოდი კიდეც ტკბი-

ბ-ნ დოლგოვის მიერ შედგენილი წიგნია.

თვით წიგნი სუფთად არის გამოცემული და შედარებით იმ შრომასთან, რაც ამ წიგნის შედგენისათვის დასჭირდება ადამიანს, იაფიც არის: ყდით სულ მანეთ ნახევარი ჰღირს. ამ წიგნის გაცნობით ჩვენი საზოგადოება კარგად გაიცნობს იმ გზასა და კვალსაც, რა გზასაც ადგა ამ ჟამად ჩვენში გამიჯვნის საქმე. ეს წიგნი ყველას ცხადად დაანახვებს, რომ საჭირო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ზოგიერთი საჭირო ცვლილება იქმნეს შემოღებულიო. უმთავრესად-კი, ჩვენის აზრით, უფრო ის არის საჭირო, რომ გამიჯვნის საქმეთა წარმოება უფრო გაადვილებულ იქმნას და ერთხელ და ერთხელ გამიჯნული და დიდის ხნით დასაკუთრებული მამული ხელ-შეუხებელი და დავა აუტეხელი იყოს. თუ ამ მხრით არ განკარგდა და არ გაუმჯობესდა საქმე, მაშინ მიჯნების დადებასა და გაყვანას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ა. ფ.

◆◆

რუსეთი

რუსეთის მთავრობამ ნება დართო ფრანგებს სამრეწველო გამოფენის გამართვისა მოსკოვში. დიდი ხანია რამდენსამე მდიდარ ფრანგ მრეწველს აზრადა ჰქონდათ ეს საქმე, მაგრამ მხოლოდ ეხლა გადაწყდა. რუსეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ამ ახალის გამოფენისათვის ფრანგებს დაეთმოთ ის შენობა, რომელშიაც ადრე მოსკოვის სამრეწველო გამოფენა იყო გამართულიო. საფრანგეთის მთავრობა მფარველობას გაუწევს ამ ახალს გამოფენას, რომელიც 1891 წ. 1 მაისს უნდა გაიხსნას. გამოფენის გასამართავად კომიტეტია შემდგარი საფრანგეთის წარჩინებულ კაცებისგან. სხვათა შორის ურევიან: ტესსერან დე ბორი, ვაჭრობის მინისტრად ნამყოფი, ფლურანსი, გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი, დიეტმონენი, სენატორი პუარიე და სხვანი. ხარჯი და შემოსავალ-გასავალი გამოფენისა პარიჟის ბანკმა იკისრა. რადგან ცოტა დრო-ღა არის დარჩენილი გამოფენის გამართვამდე, ამიტომ მუშაობას ეხლავე შეუდგებიან. ხუროთ მოძღვრები და მეჯვარადრენი უკვე წამოვიდნენ პარიჟიდგან. ამათ პირობა აქვთ ჩამორთმეული, რომ უმთავრესი შენობები გამოფენისა 28 თებერვლისთვის მზად იყოსო.

— ოდესაში უნდა გაკეთდეს ნავთის ნავთ-სადგური. ამ საქმისათვის 1½ მილიონია გადადებული და მოკლე ხანში საჯარო ვაჭრობა აქვს დანიშნული გზათა სამინისტროს, რომ იჯარით გასცეს ნავთ-სადგურის აშენება.

— გაზეთები იუწყებიან, რომ რკინის გზების მეაქციონერეთა კრებაზე, პეტერბურგში სხვათა შორის ის საგანიც იქნება მოხსენებული და განხილული, რომ ყველა უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლეები იაფ ფასად წაიყვან-წამოიყვანონ ხოლმე, როდესაც სტუდენტები სამშობლოში მიდიან საზაფხულოდ და შემდეგ უკან ბრუნდებიან.

— ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება აზნაური ივანე ნიკოლოზის ძე ზიკოვი, რომელმაც ადვილი საშუალება გამოიგონა პურის გამოცხობისა. მის მიერ გამოგონილი საშუალება იმითი განირჩევა ეხლანდელისაგან, რომ ხორბალს დაფქვა აღარა სჭირდება და მაშასადამე წისქვილიც სრულიად აღარ იქნება საჭირო. პური პირდაპირ ხორბლისაგანა ცხვება, მხოლოდ წინად-კი უნდა გაჰრეცხოს, რომ მტვერი და ნაკმაზი მოჰშორდეს. ამ ახალს წესს ცხობისას კიდევ ის სიკეთე აქვს, რომ სხვანაირის ფურნის გამართვა და მოწყობა არ უნდა და აწინდელი ფურნეებიც კარგად გამოდგება. მნახველები და გამსინჯველები ამბობენ, რომ არც გემოთი და არც სხვა რითიმე ზიკოვის მიერ გამომცხვარი პური ჩვეულებრივ გამომცხვარისაგან არ განირჩევაო. ზიკოვი ჯერჯერობით არავის ეუბნება თავის გამოგონილს საშუალებას, რადგან იმედი აქვს, რომ მთავრობა რაიმე საჩუქარს მომცემსო.

— აი რა ნაირად გაუძარცვავთ ერთი კაცი მოსკოვში. 4 აგვისტოს ტვერის ქუჩაზე ჯარის-კაც ალექსი ბატუშინთან მისულა ვიღაც ქალი და უთქვამს, აი ეს წერილი აქა და აქ წაიღე და გასამრჯელოდ წამოდი, არაყს დაგალევინებო. ბატუშინი ჯერ-კი შეყოყმანებულა, მაგრამ მაინც დათანხმებულა და გაჰყოლია დუქნისაკენ არაყის დასალევად. ქალი დუქანში შესულა და ერთი ბოთლი რაღაც სასმელი გამოუტანია. ბატუშინს დაულევია თუ არა, მაშინვე გრძნობა და გონება მიჰხდია. ქალს ამ დროს ჯიბიდგან ამოუცლია ქისა, რომელშიაც 20 მან. და ერთიც კიდევ მომგები ბილეთი ყოფილა, და სადღაც მიმალულა. როცა გამოფხიზლებულა და გონზე მოსულა, ბატუშინს ყველაფერი პოლიციისთვის შეუტყობინებია, მაგრამ მძარცველი ქალი ჯერ ვერ უპოვნიათ.

◆◆

უცხოეთი

გერმანია. გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის რუსეთში წამოსვლამ ძალიან აალაპარაკა საზღვარ-გარეთის გაზეთები. სხვათა შორის ის აზრიც გამოითქვა, რომ შეიძლება გერმანია და რუსეთი დაუახლოვდნენ ერთმანეთსაო, თუმცა ამ აზრს ყველა ავსტრიის გაზეთი უარ-ჰყოფს და შეუძლებლად მიაჩნიათ. ამავე აზრისაა, გაზ. „Гражданинъ“-ის სიტყვით, ინგლისური გაზ. „Standard“-ი. გაზეთს მოჰყავს „Standard“-ის მეთაური წერილი ამ საგნის შესახებ. აი ეს წერილი: გერმანიის იმპერატორის რუსეთში წასვლა აშკარად ამტკიცებს, რომ, როცა სხვა ხელმწიფენი თავისს საზღვრებში ყოფნით კმაყოფილდებიან, გერმანიის იმპერატორს გული ერჩის საქმისათვის და ერთს ადგილს ვერ მოუსვენია, სულ ერთავად დამოძრაობს. რადგან იგივეა თავის სახელმწიფოს პირველი მინისტრი, ამიტომ საოცარიც არ არის, თუ, როგორც გერმანია, ისევე მთელი ევროპა, გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ყოველს იმის მოძრაობასა და სიტყვას, როგორც ბისმარკისას ადევნებდნენ თვალ-ყურს. გერმანიის ჭაბუკის იმპერატორისა დიდი იმედი აქვს ევროპას და ეს იმედი ჯერ არც გამტყუნებიათ. ეხლაც ნდობით უცქერიან იმის რუსეთში მოგზაურობას, რადგან თუმცა თითონ მოუსვენარია, მაინც წესიერებას-კი არაფრით არღვევს. ნურავინ უკადრავად ბისმარკთან და მართალი უნდა ვსთქვათ, რომ ასეთის არა-ჩვეულებრივის მშვიდობიანობისათვის ევროპა ბევრში გერმანიის იმპერატორის მადლობელი უნდა იყოს. რასაკვირველია, ჩვენ გულ-წრფელად გვახარებს ის გარემოება, რომ გერმანია ამ ჟამად ევროპაში ასეთი დამოუკიდებულია, და ამასთან ისიც კარგად გვესმის, რომ გერმანიის ასეთი კეთილდღეობა სასიამოვნოა ინგლისისა და იმ სახელმწიფოთათვის, რომელნიც სახელმწიფოთა თანასწორობას არიან გულით მოწადინებულნი და არაფრად ეჭაშნიკება რუსეთს. რუსეთი ვერ შეჰრიგებია იმ გარემოებას, რომ ევროპაში მნიშვნელობასა ჰკარგავს და დიდნი სახელმწიფონი ევროპისანი ერთმანეთს ერთგულად უდგანან მხარში. აშკარაა, ასეც უნდა იყოს, რადგან რუსეთი თუ ეხლა გერმანიას პირდაპირს წინააღმდეგობას არ უწევს, მხოლოდ იმიტომ-რომ გერმანია და იმისნი მოკავშირენი საკმაოდ ძლიერნი არიან და ადვილად ვერავინ დაიბრიყებს და ვერავინ გადაჰყლაპავს. ხოლო ეჭვი არა გვაქვს, რუსეთი თავისას მაინც არ მოიშლის, თავის ფარულს განზრახვას არ უკუ-აგდებს, თუმცა ამ ჟამად-კი იმ განზრახვათა ასრულება არ შეუძლიან და ძნელად თუ შეიძლოს კიდეც როდისმე. ამისდა მიუხედავად, ვიმეორებთ, მაინც ყოველთვის ცდას არ მოიკლებს, რომ უწინდელივე ბრწყინვალე და სასარგებლო მდგომარეობა დაიბრუნოს. აქედგან აშკარაა, რაც უნდა კარგად დაუხვდნენ რუსეთში გერმანიის იმპერატორს მაინც წარსულის ღრუბელი იმათის ურთიერთ დამოკიდებულებას დასჩრდილავს და დააბნელებს. ეჭვი არ არის, შიშითა და პატივისცემით უნდა ეკიდებოდნენ რუსეთისთანა სახელმწიფოს იმ ქვეყანაში, სადაც ღონე უფლებად არის გადაქცეული. გერმანია, ავსტრია, იტალია, საფრანგეთი და ინგლისი განათლებული სახელმწიფოები არიან, რუსეთი-კი ბარბაროსულია, მაგრამ ამ განათლებულთ ბარბაროსი სახელმწიფო თავის ტოლად და სწორად უნდა მიაჩნდეთ მხოლოდ იმიტომ, რომ დიდ-ძალი ჯარი ჰყავს, აწინდელ სამხედრო ხელოვნების თანახმად მოწყობილი და მომართული, თუმცა სხვაფრივ-კი რუსეთი რამდენისამე საუკუნით უკან არის ჩამორჩენილი ევროპისაგან. ეს გარემოება არ უნდა დავივიწყოთ ხოლმე, როცა გერმანიისა და რუსეთის ურთიერთ დამოკიდებულების დაფასება გვსურს. ერთის გზით-კი რუსეთს დიდი უპირატესობა აქვს სხვა სახელმწიფოებზედ: თავისის განზრახვის ასრულებას იგი არ უჩქარის, დიდხანს შეუძლიან ლოდნა და დროს შერჩევა, იგი იძულებული არ არის საზოგადოებრივს აზრს მიაქციოს ყურადღება და ანგარიში გაუწიოს, რადგან საზოგადოებრივი აზრი ამ ქვეყანაში უკან არის მიყენებულ-მიგდებული, განსაკუთრებით-კი გარეშე პოლიტიკის საქმეში. სხვა სახელმწიფონი სახელმწიფო ფულს ქვეყნის დაუკითხავად ხელს ვერ შეახებს და საზოგადოდ საზოგადოების უცოდნელად, ანგარიშ-მიუცემლად ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ხოლმე. რუსეთში-კი ასე არ არის. ფული დასჭირდებათ და ადვილად იშოვნიან; ჯარის მომატებას მოინდომებენ-და, ესეც შეუძლიანთ. არც პარლამენტის დაკითხვა და თანხმობა უნდათ და არც ვისიმე დაუთანხმებლობა მიაჩნიათ რადმე. ამას გარდა რუსეთს არც ისეთი მოკავშირეები ჰყავს, რომ იმათ სურვილს შეუფარდებდეს ხოლმე თავის საქციელს. რუსეთის ხელმწიფე მარტო ყოფნასა რჩეობს. თუ სხვა სახელმწიფოებს უნდათ, რომ ვერავითარი ვნება ვერ მოიყენონ რუსეთისაგან, ერთმანეთს მხარი მხარს უნდა მისცენ და ისეთი ჯარი იყოლიონ, რომ ამ სახელმწიფომ არაოდეს იხელთოს ის დრო, რომლის ხელში ჩაგდებასა და გამოყენებასაც ოცნებობს. ამ გარემოებას არაფრივ უშლის ხელს გერმანიის იმპერატორის რუსეთში გამგზავრება და ევროპაც არხეინად შესცქერის ამ ამბავს, რადგან დარწმუნებულია, რომ გერმანიასა და რუსეთს შორის კავშირი ყოვლად შეუძლებელია.

◆◆

წვრილი ამბავი

«Menestel»-ში მგალობელ ქალ მელიბრანის ცხოვრებიდგან შემდეგი ამბავია მოთხრობილი: ერთხელ ვენეციაში თეატრის პატრონი ჯიოვანი გალლო გაურიგდა ამ შესანიშნავს მგალობელს ქალს, ამაღამ ჩემს თეატრში იგალობე და შრომის ფასად 150 თუმანს მოგცემო. წარმოდგენის მეორე დღეს გალლო მივიდა მგალობელ-ქალთან და დაპირებული ფული მიუტანა. რა ფული, რომელი ფული? უთხრა მელიბრანმა. განა ჯილდოდ ის არა კმარა ჩემთვის, რომ ვენეციის საზოგადოება ისე აღტაცებით და სიხარულით დამიხვდა თეატრში? წაიღეთ ეგ ფული და თქვენს შვილებს შეუნახეთ, მე შრომის ფასად იმასაც ვიკმარებ, თუ მაკოცებთო. გალლომ დაუყოვნებლივ შეუსრულა თურმე მელიბრანს თხოვნა. რამდენი თეატრის პატრონი ინატრებს ამისთანა არტისტებთან საქმის დაჭერასაო, ამბობს ბოლოს გაზეთი „Menestel“-ი.

— ერთის გაზეთის გამოანგარიშე-

ლის ოცნებით და საშინლადაც ეტანჯებოდი მწარე, შხამ-გესლიანის ეჭვისაგან. ამასობაში დედა ჩამოვიდა სახლიდგან, მოკრიფა ბოსტანში ქორფა კიტრები სადილისთვის, ჩააწყო ჩვენს მოჩანჩქარე წყაროში გასაციებლად, მომიჯდა გვერდით ფიცარ-სკამზე და მკითხა: „რადა ხარ, შვილო, დაღონებულიო?“ „რამ დამაღონა, დედი, მეთქი“, და იმ წამსვე ძალად თავი მოვიმხიარულე, რადგანაც საშინლად სწუხდა დედა, როცაკი დაღონებულს მნახავდა, მაშინვე თვალები ცრემლიანდებოდა და გულ-ამოჯდომით მეუბნებოდა: «რა გაწუხებს, შვილო, რატო არ მეტყვი, აგრემც დედა წამლად დაგედებაო».

— დედი, იამზე სადღაა?—ვკითხე.

— შინ არი, შვილო, ისა და ჩვენი გოგო მალუცი სადილს გვიმზადებენ. დღეს იამზეს ოსტატი ზეზია და იმისი დედა თეკლე ჩვენსა იქნებიან სადილად. იცი, ჩემო შვილიკო, რა უნდა გითხრა? თურმე ზეზიას დიდი ხანია გულში აქვს შენი სიყვარული და იმის დედა თეკლესაც ძალიან უნდა შენი დასიძება.

— მერე? ისე მოსხლეტით და გულციებად წარმოვსთქვი ეს სიტყვა, რომ მინდოდა დედას არ შევემცნია ჩემთვის, რა ალიაქოთი მოახდინა ჩემს სულსა და გულში იმისმა ნათქვამმა.

— მერე რა, შვილო, კარგი მარწყვივით ქალი და კარგი ოჯახი. თეკლეს იმის მეტი ვინღა აბადია, ქმარი აღარა ჰყავ და შვილი, სულ შენ დაგიმტკიცებს თავის საცხოვრებელს. მე რაღა მომკლავს მაშინ, გენაცვალე, როცა შენს გვირგვინსა გნახავ და შენს შვილს მოვესწრობი!

— არა, დედი, რა დროს ჩემი ცოლია... და მეორეც ეს, ტყუილი იქნება: მე ზეზიას საამისოს ვერას ვაცნევ, რომ მე იმას ვუყვარდე.

— რას ამბობ, შვილო, იმ დღეს იამზეს უთქვამს ზეზიასთვის: ჩემი ძმა ამ დღეებში ბიძიასთან აპირებს ქართლში წასვლასაო, და თურმე მას აქეთ ზეზიკოს თვალზე ცრემლი არ შემშრალა: „იქ შეირთავს ვისმეო“. აქამდის მეც არა ვიცოდი-რა, მაგრამ დღეს დილას თითონ თეკლე გამომიტყდა და წვრილად მიამბო ყველა: თუ როგორ უყვარხარ ანგელოზივით დახატულს ზეზიას და რაფრივ იტანჯება შენთვის დღე და ღამე.

— ნუ დაუჯერებ, დედი, ნუ. ეგ თითონ თეკლეს მოგონილი ეშმაკობა იქნება, თორემ რატომ მე ვერას ვატყობ ზეზიას?

— რას ამბობ, შვილო, ნუ ხარ ე დაუჯერებელი თომა?.. შენ რა უნდა შეატყო, გენაცვალე, იგეთ ანგელოზივით მორცხვს ქალს. ერთხელ მეც ვიყავ ქალი და მე უფრო კარგად ვიცი ქალის გული. ხუთი წელიწადი გულიდგან ამოუღებლად მიყვარდა ცხონებული მამა შენი, მაგრამ დედაც-კი ვერ მაცნევდა და იმასაც-კი ვერ ვუმხელდი სირცხვილისაგან.

— არა, დედი, არ შევირთავ ცოლს... ეხლანდელი ქალები მეტად ძნელი გამოსაცნობები არიან; წინად სამოთხის ანგელოზებად მოეჩვენებიან ხოლმე კაცს და ბოლოს-კი, ჯარისწერის შემდეგ, ჯოჯოხეთის ქაჯებად იქცევიან, ჯოჯოხეთმა წაიღოს და ამოაგდოს იმათი გაიძვერა და თვალთმაქცი თავ-ტანი!

— ნუ! ნუ!! მაგას ნუ ამბობ, შვილო, ზეზიაზე და ღმერთს ნუ აწყენინებ, დედა გენაცვალოს! ზეზია ანგელოზია—ციდამ ჩამოფრენილი ანგელოზი!

— ეხლა ასეთია, მაგრამ, ვინ იცის შემდეგში, რა ავის ხასიათის ქალი დადგება, და მაშინ ხომ ვეღარც ჩემს საქმეს გავაკეთებ და სიცოცხლეც ჩამემხამდება საუკუნოდ? ნუ, დედი, ნუ მირჩევ ცოლის შერთვას. მე ისევ ის მირჩევნია ჩემთვის ვიცხოვრო, როგორც მიცხოვრია.

— არა, შვილო, უწინამც დღე გამიქრეს; სიცოცხლის ჩასაშხამებლად-კი არ გეუბნები, მინდა, რომ შენი ბედნიერება ვნახო, მინდა, რო ანგელოზივით ზეზიას ნაზმა ალერსმა და სიყვარულმა გული სიხარულით აგივსოს და აღარა გნახო დაღონებულიო, და ქვითინით გადამეხვია დედა ამ სიტყვებზე. ბოლოს მობრუნდა გული და დამიწყო:

— მითხარ, მითხარ, შვილო, გენაცვალე, მითხარ, რო დახატულს ზეზიას შეირთავ, შენის გვირგვინის ნახვით გამახარებ, სანამ პირში სული მიდგა, და აღარ ჩამაყოლებ საფლავში შენს დარდსა და ბოროტს.

— კარგი, დედი, ნუ იცი ე დაჟინება. ზეზია მეც მომწონს, მაგრამ ერთი ორი დღე მაინც მადროვე — მოვიფიქრო.

— მოიფიქრე, დედა გენაცვალოს, მოიფიქრე. ოჰ, რო იცოდე, შვილო, როგორ შემიყვარდა ეხლა უფრო დახატული ზეზია! ჩემის საყვარელის შვილის ვარდის-კონა მეუღლე იქნება ამას იქით! ეხლა-კი წავალ, მივხედავ სახლ-კარს, და როცა კარგა გაცივდეს კიტრები, წამოიღე, შვილო, და წამოდი შენც.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ბით, ისპანიის ყოველ 1000 ჯარისკაცში წლიწადში კვდება 13,49; რუსეთში—8,88; იტალიაში—7,74; ავსტრიაში—6,94; საფრანგეთში—6,09; ინგლისში—5,13; ბელგიაში—4,7 და გერმანიაში—3,97.

— გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმა ბრძანება გასცა, რომ სახელმწიფო ქარხნებში მომუშავე ყმაწვილები დასინჯეთ და ვინც სუსტის აგებულებისა გამოდგეს, სახელმწიფო ხარჯით ზღვებზედ გაჰგზავნეთ საბანაოდაო.

— ამას წინად საერთაშორისო კონფერენცია იყო ლონდონში ქალების უფლებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. წარმომადგენლები ყველა სახელმწიფოდგან არა ყოფილან. იყვნენ მხოლოდ ამერიკელი ქალები, იტალიელები, ფრანგები, გერმანელები და თვით ინგლისელები. ქალებმა გადასწყვიტეს თურმე, რომ ჩვენა და მამაკაცებს თანაბარი, ერთი და იგივე უფლება უნდა გვქონდეს ოჯახსა და საზოგადო ცხოვრებაშიაც და პოლიტიკაშიაცაო. აღტაცებაში იყვნენ მოსული იმ გარემოებით, რომ ამ ბოლოს დროს ქალებმა ძლიერ გაიმარჯვეს ინგლისის უნივერსიტეტებში სწავლით და სხვაგანაც და სხვა ფრივად უკან არ ჩამორჩენილანო. მისს ბელლა-ლოკვუდმა მოახსენა კრებას, რომ ნიუ-იორკში საქალებო სასწავლებელი დაარსდა იურისპრუდენციისა და ცხრა პროფესორი ქალია და ქალივეა დანიშნული დირექტორად მისტრის კემნიიო.

— მეტად ახირებული ქორწილი გადაუხდიათ ქალაქ კოჰნესტიკუტში. ვიდაც მეველოსიპედე ბაკიუსს შეურთავს ახალგაზდა ქალი ჟენევიევა-სმიტი. ჯვარის წერა ქალაქის მოედანზე ჰქონიათ, სადაც სასიძო და პატარძალი ორივე საველოსიპედო ტანსაცმელით მისულან. გათავებულა თუ არა წესი ქორწინებისა, ახლად ჯვარდაწერილნი მაშინვე ველოსიპედებზე შემსხდარან და საქორწინო მგზავრობას შესდგომიან.

— 1857 წელს ინგლისს 20 მილიარდი 928 მილიონი 600,000 ფრანკი ვალი ჰქონდა. ეხლა-კი, როგორც ამას წინად პარლამენტში წარდგენილ ანგარიშიდგანა სჩანს, ამ ვალიდგან სამი მილიარდი 308 მილიონი ფრანკი უკვე გაუსტუმრებია. მარტო სალისბერის მინისტრობის დროს ე. ი. 1886 წლიდგან დაწყებული, 1 მილიარდი 308 მილიონი 450,000 ფრანკი ვალი მოუშორებია ინგლისს.

◆◆

დეპეშა

15 აგვისტო

პეტერბურგი. კვლავ ნება დაერთოთ ცალობით ყიდვისა გაზეთებს «Бирже. Вѣдом.»-სა და «Москов. Иллюстриров. Газетка.»-ს. ამ უკანასკნელს ამას გარდა იმის ნებაც მიეცა, რომ კერძო განცხადებანი ჰბეჭდოს.

გუშინ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე საზღვარ-გარედ წაბრძანდა.

გაზ. «С.-Пет Вѣдомости» იუწყება, რომ გზათა უწყების სამინისტროსთან დაარსებულ იქმნება ცალკე კომისია. კომისია უნდა შესდგეს სამხედრო, ზღვათა, გზათა უწყებისა, შინაგან საქმეთა სამინისტროისა, სხვა-და-სხვა სამეცნიერო და სავაჭრო დაწესებულებათა წარმომადგენლთაგან და საფინანსო და სადიპლომატო აგენტთაგან და იმ საგნის ყოველ მხრივი შესწავლა და შემუშავება უნდა მიენდოს, თუ შუა-აზიაში რა და რა გზის გაყვანაა საჭიროო.

ბერლინი. იმპერატორმა ვილჰელმა ჯარის სინჯვა დაიწყო აღმოსავლეთ პრუსიაში, შემდეგ უეცრად დაანება ამ საქმეს თავი და წაბრძანდა ბერლინში, სადაც, სილეზიაში აღლუმებზედ დასასწრებლად წასვლამდე რამდენიმე დღე უნდა გაატაროს.

ვენა. აქ უკვე დაიბარეს სოფიის მთავარ—ელჩი ბურიანი.

რომი. მთავრობამ გააუქმა ირენდენტისტთა საზოგადოებანი.

ვენა. გუშინ მაკარსკში, დალმაციას, სლავიანთა სხვა-და-სხვა ერის დეპუტაციების თანადასწრებით, აკურთხეს ძეგლი ცნობილის სერბიის პოეტისა და მამულიშვილის კაჩიჩისა. ამ ძეგლის დადგმის დროს ძმურად შეეკავშირნენ ერთმანეთს სერბები და ხორვატები. ხორვატებიცა ჰგზავნიან პრაგას დეპუტაცებს სლავიანთა კრებაზედ დასასწრებლად, გადაწყვეტილია, რომ ვენაში გამოსცენ დიდი სლავიანური გაზეთი, რომელიც სლავიანთა ყოველ სურვილისა და შეერთებისა და შეკავშირების საქმეს უნდა ემსახურებოდეს.

ნიჟნი ნოვგოროდი. რკინის ვაჭრობა არც ძალიან კარგად მიდის, რკინას უწინდელივე ფასი ადევს. ყველამ გაჰყიდა თავისი რკინა, მხოლოდ საფრანგეთის ამხანაგობას დარჩა 900 ათას ფუთამდე რკინა, ამათში 350 ათას ფუთამდე შარშანდელი ნარჩომია. შარშანდელის ოდენა მოვიდა პერმის მარილიც და თითქმის იმავე ფასად იყიდება, მხოლოდ ყოველ 12 ფუთზედ შაურს უკლებენ.

16 აგვისტო

პეტერბურგი. ფოსტათა და ტელეგრაფის მთავარ-სამართველოს უფროსის თანაშემწე, გენერალ მაიორი უსოვი გარდაიცვალა კალუგის გუბერნიის სოფელში.

—

შეცდომის გასწორება: უკანასკნელს 13 აგვისტოს ლონდონის დეპეშაში ნათქვამია, რომ „სულთანმა ბრძანება გასცა, რომ ქურთთა ავაზაკების წინამძღოლი მუსაბეი სომხეთში გაჰგზავნეთო“. უნდა იყოს: „სულთანმა ბრძანება გასცა, რომ ქურთ ავაზაკების წინამძღოლი მუსსა-ბეი სომხეთიდგან განაძევეთო“.

პეტერბურგის ბირჟა, 14 აგვისტო.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	— „	— „	6, 57½
ტამოჟნის კუპონები . .	— „	„	131½
მანეთიანი ვერცხლის ფული.	1 11	„	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	229	— „	— „
—მეორისა	— „	— „	218
—მესამისა	211½ „	— „	214
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . .	— „	— „	— „

განცხადებანი

4 სექტემბერს 1883 წელისას ს. წინამძღვრიანთ-კარში დაარსდა სასოფლო სამეურნეო სკოლა. ამ სკოლაში საქართველოს სხვა-და-სხვა მხრიდგან მოიყარეს თავი შეგირდებმა. რადგანაც ს. წინამძღვრიანთ კარში და იმის ახლო-მახლო სოფლებში ყმაწვილებს კარგი ბინა და ყურის გდება არა ჰქონდათ, ამისთვის სკოლის მმართველობამ ააშენა ქვიტკირის სახლი, რომელშიაც 35 ყმაწვილს შეუძლიანთ დგომა. დღეს აქ 19 შაგირდი სცხოვრობს. თუმცა შეგირდების მშობლები და მზრუნველები მოვალენი არიან ყოველ გვარი ყურადღება იქონიონ ყმაწვილებზედ, მაგრამ ზოგიერთნი მათგანნი გულ-გრილად ექცევიან ამ საქმეს: არ უგზავნიან სკოლას თავ-თავის დროზედ ყმაწვილების შესანახავ ფულსა, შვიდ-შვიდ მანეთს თვეეში, და ამით დიდს გაჭირებას აყენებენ მმართველობას სკოლისას და თვით ყმაწვილებსაც. ამის გამო სკოლის კრება, რომელიც განაგებს სადგურის საქმეს, იძულებულია დაითხოვოს შეგირდები სადგურიდგან და მშობლებთანვე გაჰგზავნოს. დიდად სამწუხაროა ამისთანა მოვლენა, გულგრილობა მშობლებისა, რომლის შვილებსაც სკოლაში უსასყიდლოდ აქვთ სწავლა და სასწავლო ნივთებიც მუქთად ურიგდებათ და მხოლოდ იმის ზრუნვა-ღა რჩებათ, რომ იმათ შვილებს საჭმელი და ტანთ საცმელი არ მოაკლდეთ ყოველ თვეე და გამოუგზავნონ სკოლის მმართველს შვიდ-შვიდი მანათი თვეეში, დღეს ასეთი გულ-გრილობა გამოიჩინეს ქვემო ხსენებულ შეგირდების მშობლებმა და მზრუნველებმა. აგიაშვილისა, ჯანდიერისა, მაჭავარიანისა ალექსანდრესი, მაჭავარიანისა ივანესი, ნიკოლაიშვილისა, რამიშვილისა, ხუნდაძესი და ცულაძესი. სულ 137 მან. 80 კაპ., არ—შემოტანილი ამ ყმაწვილების მშობლების მიერ. თუმცა გაზეთით, პირად და კერძო წერილითაც შეიტყეს მშობლებმა და მზრუნველებმა ასეთი გულ-საკლავი მდგომარეობა შეგირდებისა, მაგრამ დღემდე ხელს არ უმართავენ სკოლას, რომ მან სადგურის საქმე კეთილად წარმართოს და თავისი მძიმე მოვალეობა შეასრულოს. ამის გამოისობით მე, როგორც მზრუნველი სკოლისა, უცხადებ ამ გაჭირებას სკოლისას საზოგადოებას და ვთხოვ უმორჩილესად მშობლებსა და მზრუნველებს გამოგზავნონ იმათზედ დარჩენილი ფული, ან დაიბრუნონ ეხლავე ყმაწვილები სახლში. თუ შემდეგშიაც „მშობლები ასე მოიქცევიან, მაშინ სადგური დაიკეტება და მშობლებს აღარ ექნებათ უფლება სთქვან, რომ სკოლის კრება თავის დროზედ ჩვენის შვილებისათვის ცუდად ჰზრუნავსო.

მზრუნველი სკოლისა
ი. წინამძღვრიშვილი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

ყმაწვილი კაცი ეძებს გაკვეთილებს
და
ზომიერ ფასად
შეგირდებს ამზადებს გიმნაზიისა, რეალურ და საიუნკრო სასწავლებლისა და ინსტიტუტის ყოველ კლასში შესასვლელად. ჰკისრულობს აგრეთვე რეპეტიტორობასაც. მსურველს ქართულის ენის გაკვეთილებსაც აძლევს. ადრესი იკითხეთ «ივერიის» რედაქციაში. (5—2)

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—1)

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

„ისტორიული ნარკვევი“

ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ
ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეების, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვით . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50 „	5 „ . . .	5 „ 25 „
10 „ . . .	8 „ 75 „	4 „ . . .	4 „ 70 „
9 „ . . .	8 „ — „	3 „ . . .	3 „ 50 „
8 „ . . .	7 „ 25 „	2 „ . . .	2 „ 50 „
7 „ . . .	6 „ 50 „	1 „ . . .	1 „ 75 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცი: თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. ценз Тифлисъ, 16-го Августа 1890 г. Типо-Литографія Ѣ. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე